ბიბლ. 1090ბ.
მ-73.

ფასი
კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

მოამბე

ორშაბათი, თებერვლ. 26. 1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 48 ყოველ კვირეული ორგანო. № 48

ჟურნალ „მოამბე“-ს რედაქციისაგან.

ყველა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს, რომ

ჟურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ყველა ხელის მომწერი ვალდებულია გადაიხადოს მათზე დარიცხული ხელის მოწერის ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში **მოესპობათ ჟურნალის გზავნა.**

ყოველგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი—30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაბეჭდი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.

ჟურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.

რედაქცია ღიაა დილის 9 ს. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8—59.

ოფიციალური განყოფილება.

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დეკრეტი

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმას. კომიტ. და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღიარებენ სამომხმარებელო კოოპერაციას ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილების განუყოფელ და აუცილებელ ნაწილად და ისახავენ თავის მიზნად — ყოველნაირად ხელი შეუწყონ მას — მთლად მოსახლეობის სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში, აგრეთვე სახელმწიფო მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში და ამის გამო, ადგენენ:

1) ყველგან ქალაქში, საქარხნო-საფაბრიკო რაიონში და სოფლად ამ ჟამად არსებული ყველა სამომხმარებლო კოოპერატივების (საზოგადოება, ამხანაგობა და სხვ.) გაერთდებიან და მოეწყობიან ერთ სამომხმარებლო საზოგადოებად-ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სახით.

2) ქალაქად, საქარხნო-საფაბრიკო რაიონში და სოფლად, მიუხედავად მათი სივრცისა, არ შეიძლება იყოს ერთ სამომხმარებლო საზოგადოებაზე მეტი. სამომხმარებლო საზოგადოებას შეუძლიან დააკმაყოფილოს ორი ან რამდენიმე ახლო მდებარე დასახლებული პუნქტი.

3) ყველა მოქალაქე უწყებული ადგილისა უნდა ჩაირიცხოს ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში. თვითეული მოქალაქე მიეწერება ერთ-ერთ პუნქტს სამომხმარებლო საზოგადოებისას.

4) ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგლებში მოქალაქეთა შეერთება შეიძლება უფრო მცირე ტერიტორიალურ ერთეულებად, ან ისეთ პირთა ჯგუფებად, რომელნიც მისდევენ ერთ და იმავე მრეწველობას.

ყოველი ამგვარი შენაერთისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია და დამტკიცება იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის მიერ, რომლის რაიონშიაც იგი მოეწყო.

ამგვარ შენაერთში წევრად შესვლა და გამოსვლა ნებაყოფლობითია ერთსა და იმავე დროს წევრად ყოფნა ერთზე მეტი ნებაყოფლობითი შენაერთში შეუძლებელია.

5) სოფლად ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების ფარგალში გლეხთა მოსახლეობისათვის ნებაყოფლობითი — შენაერთის მოწყობა შეიძლება მხოლოდ საწარმოვო ან სასოფლო სამეურნეო ხასიათისა. სოფლად ნებაყოფლობითი შეერთება მარტოოდენ სამომხმარებლო ფუნქციებით შეიძლება მხოლოდ ცენტრალური კავშირის ნებადართვით თვითეულს ცალკე შემთხვევაში.

6) ყოველ ზემოხსენებულ ნებაყოფლობითი შენაერთს უფლება აქვს იმ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების მეშვეობით, რომლის რაიონშიაც იგი მოქმედებს, შეიძინოს თავის წევრთათვის ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სხვა საგანი მონაწილეთა მიერ დამატებითი გადასახადის (ფულად ან ნატურით) შეტანით.

7) სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირებს ენიჭებათ იურიდიული პიროვნების უფლებანი, ე. ი. უფლება საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებისა, აგრეთვე შინა მრეწველობისა და ხელოსნობის ნაკეთობის გაცვლისა, შესყიდვისა და გასაღებისა.

ამ მიზნის განსახორციელებლად სამომხმარებლო საზოგადოებათ ნება ეძლევათ დასდონ ყოველგვარი ხელშეკრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საბჭოთა კანონმდებლობას, როგორც მაგალითად დამზადებისა, მიწოდებისა გადამუშავებისა, შენახვისა, გაწმენდისა, ზემოაღნიშნული პროექტების შეგროვებისა, იარაღებისა და მასალების მომარაგების შესახებ და ამ ხელშეკრულობათა მიხედვით მიიღონ თავიანთ თავზე ვალდებულება და სხვა ამისთ.

8. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) უფლება აქვთ მოაწყონ საწარმოონი პროდუქტების მოპოებისა და გადამუშავებისათვის, აგრეთვე მოაწყოს ბოსტნები, რძის ფერმები და სხვა ამგვარი საწარმოონი; შეასრულონ მომარაგებისა, დამზადებისა და განაწილების საქმეში ნებაყოფლობითი სამომხმარებლო შენაერთებისა, სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა დავალებანი.

სამეურნეო მოქმედებასთან ერთად ნება ეძლევათ აწარმოონ ყოველგვარი გამოკვლევანი, გამოსცენ პერიოდული და სხვ. გამოცემანი, დაარსონ ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებათა და მათ კავშირთა საჭიროებისათვის ხელისშემწყო დაწესებულებანი და

9. სამომხმარებლო საზოგადოებათ და მათ კავშირს (ცეკავშირს) სახელმწიფო აკისრებს ხელშეკრულების საფუძველზე შემდეგ ვალდებულებას:

ა) შესრულება სახელმწიფო ორგანოთა მიერ შენაკვეთისა ნედლი მასალისა და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადების სფეროში;

ბ) მიყიდვა მცხოვრებლებისათვის ყოველგვარი სასურსათო და ფართო მოხმარების საგნებისა, რომელიც დამზადებული იქნება სახელმწიფოს ფაბრიკა-ქარხნებში, მიღებული საიჯარო საკონცესიო საწარმოოთაგან, ან და შემოტანილი საზღვარგარეთიდან.

10) სამომხმარებლო საზოგადოებათ და კავშირს (ცეკავშირს) უფლება ეძლევათ გადაახდევი-

ნონ თავიანთ წევრებს ჩასაწერი და საპაიო გადასახადები და ავანსები, ამასთანავე მოსახლეობის ულარიბესი ჯგუფებისათვის მონაწილეობა სამომხმარებლო საზოგადოებაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განსაკუთრებული წესებით.

11) ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოების სათავეში სდგას არა ნაკლებ სამი წევრისაგან შემდგარი გამგეობა და სარევიზიო კომისია, რომელთაც აირჩევს წევრთა საზოგადო კრება.

აქტიური და პასიური არჩევნების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, გარდა ისეთებისა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება საბჭოთა კონსტიტუციისა და სასამართლო ორგანოების დადგენილების თანახმად, ამისდამიუხედავად შეტანილ ექნებათ, თუ არა ჩასაწერი და საპაიო გადასახადი.

12) რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სამომხმარებლო საზოგადოებანი შეერთდებიან ერთ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირად (ცეკავშირში). გამგეობა და სარევიზიო კომისია ცენტრალური კოოპერატიული კავშირისა (ცეკავშირისა) ამოირჩევა იმ სამომხმარებლო საზოგადოებათა, სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებათა და სამხედრო კოოპერატიული ორგანიზაციების რწმუნებულთა კრებებზე, რომელნიც შედიან ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირში.

13) რათა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმეში მუშათა კლასის სათანადო გავლენა და ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილ იქნეს, პროფესიონალური კავშირების საბჭოებს უფლება აქვთ წარგზავნონ როგორც სამომხმარებლო საზოგადოების კრებებზე, ისე კავშირებში თავიანთი წარმომადგენელნი,—გადამწყვეტი ხმის უფლებით,—რიცხვით არა უმეტეს შეკრებილთა ერთი მესამედისა.

14) ყველა დღემდის გამოცემული დებულება და დეკრეტი საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს--გაუქმებულ იქნეს.

15) ამა დეკრეტის განმარტებისა და განვითარების მიზნით ცენტრალურ კავშირს (ცეკავშირს) უფლება ეძლევა გამოსცეს საქართველოს საზღვრებში მომქმედ სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის სავალდებულო დადგენილებანი და დებულებანი.

16) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ.
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის.
საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ.
აღმასრ. კომიტ. მდივანი **საბაშვილი.**

1923 წ. იანვრის 24.
ტფილისი—სასახლე.

საბ. კომისართა საბჭო

დადგენილება № 69.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ.

წითელი ჯვრის საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 164 №-რით გამოცემულ დადგენილების დამატებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

აღნიშნული საზოგადოების წესდების 22, 24 და 26 § შეცვლილ იქნეს შემდეგნარად:

I. § 22: ცენტრალური კომიტეტი შესდგება საზოგადო კრების მიერ არჩეული 7 წევრისაგან და 3 კანდიდატისაგან. ცენტრალური კომიტეტი თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს და პრეზიდიუმის წევრს—შემადგენლობით.

§ 24. ცენტრალური კომიტეტის არჩევა მოხდება ხმის აშკარა მიცემით და ხმის უბრალო უმეტესობით.

§ 26. განყოფილების კომიტეტი შესდგება 5 წევრისაგან, რომელთაც აირჩევს განყოფილების ნამდვილ წევრთა კრება. კომიტეტი აირჩევს თავის წრიდან, ერთი წლის ვადით, თავმჯდომარეს, თავმჯდომარის ამხანაგს და მდივანს.

II. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის,
საბჭ. თავმჯდ. მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 10. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 70.

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სასკოლო გადასახადის თაობაზე გამოცემული დეკრეტის შეცვლის შესახებ.

სასკოლო გადასახადის შესახებ—სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 20 ს თარიღითა და 15 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-3 მუხ. „ბ.“ და „გ.“ პუნქტ. და მე-4 მუხ. შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხ. 3. გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან:

ბ. პროფესიონალური კავშირის ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი 1922 წლ. ნოემ-

ბერში არ აღემატებოდა: სატარიფო ქსელის 1-ლ ზოლით 3.000.000 მ., მე-2-ე ზოლით—2.700.000 მან., მე-3-მე ზოლით—2.400.000 მან. და მე-4 ზოლით—2.100.000 მან.

გ.—მოსწავლენი, რომელთა დამოუკიდებელი სამუშაო სასყიდელი 1922 წლის ნოემბერში არ აღემატებოდა წინა პუნქტში აღნიშნული სამუშაო სასყიდლის რაოდენობას.

მუხ. 4. გადასახადის გამღებნი სამ ჯგუფად განიყოფებიან:

I) პროფესიონალურ კავშ. ის წევრნი, რომელთა სამუშაო სასყიდელი 1922 წლ. ნოემბერში აღემატებოდა გ. პუნქტში აღნიშნულ სამუშაო სასყიდლის განაკვეთს.

II) გლეხნი სოფლად და

III) ყველა დანარჩენი მოქალაქენი სოფლად და ქალაქად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 16.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 72.

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

სათამაშო ქალალდის. (კარტის) გამოცემის შეს.

1. ნება მიეცეს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში გამოსცეს სახმარებლად სათამაშო ქალალდი (კარტი), ქართული ტიპიური სურათებით.

2. აკრძალულ იქნეს უცხოეთში (არა-საბჭოთა რესპუბლიკაში) დამზადებული სათამაშო ქალალდის გაყიდვა საქართველოს საზღვრებში.

3. პირველ მუხლში აღნიშნული სათამაშო ქალალდის მთელი წმინდა შემოსავალი მოხმარდეს საქართველოს რესპუბლიკის კულტურულ მიზნებს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ, სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომის. საბჭ, მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 30.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 73.

საქ. სოც: საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

საგანგებო სიბინაო სამეულის მოწყობის შესახებ.

საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლად, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მიიღო ტფილისში მეტად მწვავე ხასიათი, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო დაწესებულებათა და აგრეთვე საბჭოთა, საზოგადოებრივ და სხვა საწარმოოთა სადგომების შემჭიდროებისათვის დაარსებულ იქნეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან საგანგებო საბინაო კომისია ამხ. ჟოჟიკაშვილისა, ჟურულოვისა და ივანოვ-კავკასკის შედგენილობით.

2. ყველა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნული საგანგებო საბინაო სამეულისა არ განსაჩივრდება და მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში 48 საათის განმავლობაში.

3. კომისია შეუდგეს მუშაობას დაუყოვნებლივ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდომ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახალხო კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 10.
ტფილისი—სასახლე.

დეგულება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ.

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტისათვის).

ა. უმაღლესი სასწავლებელის მიზანი და დანიშნულება.

1. უმაღლესი სასწავლებელის მიზანია:

ა) შექმნას სპეციალისტთა კადრი პრაქტიკულ მოღვაწეობის სხვა და სხვა დარგისთვის.

ბ) მოამზადოს მეცნიერების მუშაკნი რესპუბლიკის სამეცნიერო, სამეცნიერო-სატეხნიკო და საწარმოვო დაწესებულებათათვის და კერძოდ თვით უმაღლესი სასწავლებლისათვის.

გ) გამოიკვლიოს სამეცნიერო კითხვები ცოდნის ყოველ დარგში, დაარსოს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტები, კურსები და სამეცნიერო ასოციაციები განათ. სახ. კომისარიატის დამტკიცებით.

დ) გაავრცელოს მეცნიერული ცოდნა პროლეტარულ და გლეხურ მასებში, რომელთა ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესსაც უმაღლესი სასწ. მოღვაწეობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს,

ბ) უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეთა შესახებ.

2) უმაღლესი სასწავლებელის სტუდენტად შეიძლება იქნეს ორივე სქესის მოქალაქე, 16 წლის ასაკ შესრულებული, უკეთუ იგი აკმაყოფილებს უმაღ. სასწ. მიერ შემუშავებულ მისაღებ წესებს, რომელსაც დამტკიცებს განათ. სახ. კომისარიატი.

3. უმაღ. სასწ. სტუდენტი მოვალეა შეასრულოს ყოველი მოთხოვნილება სასწავლო და ადმინისტრატიული ხასიათისა.

4. სწავლა უმაღლეს სასწავლებელში უფასოა.

შენიშვნა: დროებითი ზომის სახით, რესპუბლიკის განსაკუთრებული ეკონომიური მდგომარეობის გამო შემოღებულია ლექციების მოსმენისა და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებათა გამოყენებისათვის, სწავლის ფასი, რომლის რაოდენობასა და გადახდის წესს დაადგენს განათლების სახალხო კომისარიატი.

გ. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შესახებ.

5. ყველა ის პირი, რომელიც ეწევა უმაღლეს სასწ. მეცნიერულ მუშაობას, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, იწოდება—მეცნიერების მუშაკად.

6. მეცნიერების მუშაკად ითვლება:

ა) პროფესორი და დოცენტი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს დამოუკიდებელ კურსებს, ან მეცადინეობას, ან განაგებს უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას.

ბ) მასწავლებელი, რომელიც უძღვება დამხმარე კურსებს ან მეცადინეობას, ან და მუშაობს დამოუკიდებლად, ხოლო ერთ-ერთ პროფესორის ხელმძღვანელობით.

გ) სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელი, რომელიც ეხმარება პროფესორს, დოცენტს და მასწავლებელს მუშაობაში, ან ემზადება დამოუკიდებელი სასწავლო და სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

შენიშვნა: 1, მეცნიერების თვითეული კატეგორიის მუშაკთა რიცხვი და მათი ჯამაგირი განისაზღვრება უწყებული უმაღლესი სასწავლებლის შტატით.

შენიშვნა: 2, ამა დებულების თანახმად არჩეული პროფესორისა, დოცენტისა და მასწავლებლის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა, არა უგვიანეს სამი დღისა,—წარუდგენს ცნობას განათლების სახ. კომისარიატს. არჩეულ კანდიდატს ამტკიცებს სახ. განათ. კომისარიატი.

შენიშვნა: 3, სახელწოდება ახლანდელი პირადი შედგენილობის პროფესორებისა და მასწავლებელთა ავტომატიურად შეიცვალება ამა დებულების სათანადო მუხლში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, ხოლო საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება განათ. სახ. კომისარიატს.

დ. სამეცნიერო სასწავლო ნაწილი.

7. უმაღლესი სასწავლებელი განაწილდება ფაკულტეტებად, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო დისციპლინის ძირითად ჯგუფებს და წარმოდგენს სწავლა მეცნიერების თვალსაზრისით დამთავრებულ მთლიან ერთეულს; ფაკულტეტს მიზნად აქვს განსაზღვრულ პროფესიის პრაქტიკულ მოღვაწეთა მომზადება. ფაკულტეტის რიცხვი თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში განისაზღვრება განათ. სახ. კომისარიატის მიერ, არსებული კანონებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ყოველ უმაღლეს სასწავლებელში უთუოდ უნდა არსებობდეს მუშათა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხების წრის პირთა მომზადება.

შენიშვნა: მუშათა ფაკულტეტის კონსტრუქცია მთლიანად და მისი ურთიერთობა უმაღლესი სასწავლებლის ორგანოებთან განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით მუშათა ფაკულტეტის შესახებ.

შენიშვნა: ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობას ყოველი უმაღლესი სასწავლებლისათვის ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის წარდგენისამებრ.

8. სასწავლო გეგმას და კურსების გავლის წესს შეიუშავებს ფაკულტეტი და განიხილავს უმაღლესი სასწავლებლის საბჭო, ხოლო განხორციელდება იგი განათლების სახალხო კომისარიატის დამტკიცების შემდეგ.

ე) უმაღლესი სასწავლებლის მართველობა.

9. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარ მმართველობის გამგებლობაში, მხოლოდ სახალხო განათლების კომისარიატს აქვს უფლება მოახდინოს ცვლილება უმაღლესი სასწავლებლის როგორც ორგანიზაციასა, ისე პირად შედგენლობაში.

10. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო მოღვაწეობის უახლოესი გამგებლობა და ხელმძღვანელობა ეკუთვნის,—განათლების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით,—უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს და მის მიერ ამორჩეულ გამგეობას ამ დებულების თანახმად.

11. საქმე, რომელიც მთლად უმაღლეს სასწავლებელს არ შეეხება, არამედ მხოლოდ ცალკე მის ფაკულტეტს, ფაკულტეტის საბჭოსა და მის პრეზიდიუმის გამგებლობაშია; უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის მეთვალყურეობით და კონტროლით.

12. საქმეს, რომელიც ეხება ერთ ან რამოდენიმე ერთ-მეორის მახლობელ დისციპლინას, რაც უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, განაგებს საგნობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს საერთო კონტროლისა და ხელმძღვანელობით.

შენიშვნა: საგნობრივი კომისიის რიცხვს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

13. საგნობრივ კომისიას შეადგენენ: მახლობელი დისციპლინებით შეკავშირებული ყველა პროფესორები, დოცენტები, მასწავლებლები და მეცნიერების ყველა მუშაკნი რიცხვით, პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი და აგრეთვე წარმომაგენლები იმ სტუდენტებისა, რომელნიც ვალდებულნი არიან იმეცადინონ ამა თუ იმ საგნობრივ კომისიის დისციპლინებში.

სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევა მოხდება განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით პროფესორ-დოცენტების რიცხვის არა უმეტეს ერთი მესამედისა.

14. საგნობრივი კომისია პროფესორთა შედგენილობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

თავმჯდომარის გარდა, ირჩევს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს. უკანასკნელი, თავმჯდომარესთან ერთად, შეადგენს საგნობრივ კომისიის ბიუროს, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

15. საგნობრივი კომისიის ფუნქციას შეადგენს:

ა) საგნობრივი კომისიის დისციპლინების მიხედვით სამეცადინო საქმის განაწილება მეცნიერების მუშაკთა შორის.

ბ) კონტროლის დაწესება სტუდენტების მიერ სასწავლო მოვალეობის შესრულებისათვის. ამ კონტროლის წესს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

გ) პროგრამების დეტალურად შემუშავება, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სწავლის მეთოდების განხილვა, პროფესორ-მასწავლებელთა მოხსენებანი გასავლელი კურსების მეთოდებისა და მათი შედეგების შესახებ.

დ) ხელმძღვანელობა და აღრიცხვის განხილვა კომისიის გამგებლობაში მყოფ დამხმარე დაწესებულებათა (ლაბარატორიები, კაბინეთები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები).

16. საგნობრივი კომისიის ყოველი დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ფაკულტეტის პრეზიდიუმს და ძალაში შედის იმ შემთხვევაში, უკე თუ ერთი კვირის განმავლობაში პროტესტ ქმნილი არ იქნება—ფაკულტეტის საბჭოში.

17. საგნობრივ კომისიაში ყველა საკითხი გადაწყდება ხმის უბრალო უმეტესობით და ხმისავე აშკარად მიცემით.

18. ფაკულტეტის ორგანოებს მეადგენს:

ა) ფაკულტეტის საბჭო,

ბ) ფაკულტეტის პრეზიდიუმი.

19. ფაკულტეტის საბჭოში შედიან

ა) ფაკულტეტის სტუდენტების პრეზიდიუმი;

ბ) უწყებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი და დოცენტი.

გ) მასწავლებელნი და სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელნი რიცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი.

დ) უწყებული ფაკულტეტის წარმომადგენლები რიცხვით პროფესორ-დოცენტების ერთი მესამედი.

ე) გარდა ამისა, ფაკულტეტის საბჭოში თითო წარმომადგენლის გაგზავნის უფლება აქვს გადამწყვეტი ხმით: განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირს, პროფესიონალურ კავშირებს, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ამა თუ იმ ფაკულტეტის მუშაობით, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და განათლების კომისარიატის შორის შეთანხმებით.

20. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი.

21. ფაკულტეტის საბჭო:

ა) სახალხო განათლების კომისარიატის წინადადებით შეიმუშავებს ფაკულტეტის მოქმედების საერთო პროგრამას.

ბ) გაანაწილებს სამუშაოდ მასწავლებლებს და მეცნიერების მუშაკებს ფაკულტეტის სხვა და სხვა ქვემდებარე დაწესებულებაში.

გ) აირჩევს პროფესორებს, დოცენტებს, მასწავლებლებს და სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელთ.

დ) ხელმძღვანელობს ცალკე საგნობრივ კომისიების მოქმედებას.

შენიშვნა: ფაკულტეტის საბჭოს ყოველი დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს უმაღლეს სასწავლებლის გამგეობას და შედის ძალაში იმ შემთხვევაში, უკეთუ პროტესტქმნილი არ იქნება ერთი კვირის ვადაზე.

ე) გადასწყვეტს სამოსწავლო წლის დაწყებამდე, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეიძლება, უწყებულ ფაკულტეტზე.

ვ) შეადგენს და წარუდგენს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას ფაკულტეტის და ყველა მის დაწესებულებების საერთო აღრიცხვას.

ზ) დანიშნავს საკონტროლო კომისიებს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეასრულეს ფაკულტეტის სტუდენტებმა სასწავლო ვალდებულება.

22. ფაკულტეტის საბჭოში ყველა საკითხი გადასწყდება ხმის უბრალო უმეტესობით და ხმის აშკარად მიცემით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახილველია პერსონალური კანდიდატურა პროფესორისა, დოცენტისა, მასწავლებლისა და მეცნიერების მუშაკის თანამდებობაზე ასარჩევი პირისა; ამ შემთხვევაში საკითხი ფარული კენჭის ყრით გადაწყდება.

23. ფაკულტეტის პრეზიდიუმი შესდგება დეკანისა და ორი წევრისაგან, რომელნიც აირჩევიან ერთი წლით. დეკანისა და პრეზიდიუმის ერთი წევრის თანამდებობაზე კანდიდატს აირჩევს ფაკულ-

ტეტის საბჭოს მეცნიერების მუშაკთა შედგენილობიდან, პრეზიდიუმის მესამე წევრის თანამდებობაზე ორ კანდიდატს ასახელებენ ის სტუდენტები, რომელნიც ფაკულტეტის საბჭოში შედიან. არჩეულ პირთა შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა გაუგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას პროფესიონალური განათლების მთავარ მართველობას არჩეულ პირთა დასამტკიცებლად განათლების სახალხო კომისარის მიერ.

უკე თუ წარდგენილ კანდიდატებს განათლების სახალხო კომისარიატი არ დაამტკიცებს, მას უფლება ეძლევა დანიშნოს თავისი კანდიდატები უწყებული ფაკულტეტის წევრების შედგენილობიდან.

შენიშვნა: დეკანად შეიძლება იყოს მხოლოდ პროფესორი.

24. ფაკულტეტის პრეზიდიუმი, როგორც მისი ორგანო, ანხორციელებს ფაკულტეტის საბჭოს ყველა დადგენილებას.

25. დეკანი პირადად პასუხისმგებელია გამგეობის წინაშე ყოველივე იმის გამო, რაც ფაკულტეტზე მოხდება და უფლება აქვს შეაჩეროს საგნობრივი კომისიების ყოველი დადგენილება,—რასაც აცნობებს ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო თუ არ დაეთანხმა მას—საკითხი გადატანილ უნდა იქნეს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობაში.

იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდიუმის უმრავლესობა არ ეთანხმება დეკანს, პრეზიდიუმს შეუძლიან განასაჩიროს დეკანის, ის დადგენილება ფაკულტეტის საშჭოში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებლის გამგეობაში, მაგრამ არ შეუძლიან შეაჩეროს მისი სისრულეში მოყვანა.

26. მთლად უმაღლესი სასწავლებლის საქმის გამგე ორგანოებად ითვლებიან:

ა) უმაღლესი სასწავლებლის საბჭო.

ბ) უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა,

27, უმაღლესი სასწავლებლის მთელი მუშაობის წარმართვისა და კონტროლისათვის, უმაღლესი სასწავლებლის საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება სამჯერზე არა ნაკლებ.

საბჭოში შედიან გამგეობის წევრები ფაკულტეტის დეკანები, ყველა პროფესორი და დოცენტი, აგრეთვე მასწავლებლები და მეცნიერების მუშაკნი, პროფესორ-დოცენტების რიცხვის ერთ მეოთხედ რაოდენობით. პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარმომადგენელნი არა უმეტეს ხუთისა, რომელნიც იგზავნებიან უმაღლესი სასწავლებლის მუშაობით დაინტერესებულ პროფეკავშირების მიერ განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალური კავშირების საბჭოს შეთანხმებით; დაინტერესებული სახალხო კომისარიატების თითო წარმომადგენელი; მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტის ერთი წარმომადგენელი და უწყებული უმ. სასწ, ის სტუდენტები, რომელნიც აირჩევიან განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით პროფესორ- დოცენტთა რიცხვის ერთი მეოთხედი რაოდენობით.

საბჭოში თავმჯდომარეობს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე (რექტორი).

28 უმაღლესი სასწავლებლის საბჭო:

ა) ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი სასწავლებლის მთლად სამეცნიერო და ადმინისტრატიულ საქმეს.

ბ) ადასტურებს სამეცნიერო მუშაკების კანდიდატურას, არჩეულს ფაკულტეტების საბჭოს მიერ და გამგეობის მეშვეობით წარადგენს განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად;

გ) აირჩევს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტების, კურსების, ასოციაციების დირექტორებს და წარადგენს გამგეობის მეშვეობით განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად.

29. საბჭოს დასკვნას უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის შესახებ, საბჭოს წევრების ცალკე აზრის თანდართვით და საბჭოს განზრახულებათ უმაღლესი სასწავლებლის მომავალი მუშაობის შესახებ, საწარმოო გეგმასთან დაკავშირებით,—გამგეობის თავმჯდომარე (რექტორი) გაუგზავნის სახალხო განათლების კომისარს.

30. უმაღლესი სასწავლებლის საბჭო თავის დადგენილებათა განხორციელებისათვის, მიმდინარე მუშაობისა, კანტროლისა და უმაღლეს სასწავლებლის ორგანოების ხელმძღვანელობისათვის, აირჩევს თავის წრიდან, პროფესორთა შორის, ერთი წლის ვადით რექტორს, ორ პროორექტორს და გამგეობის წევრებს, რომელთა რიცხვი უნდა უდრიდეს ფაკულტეტების რაოდენობას.

რექტორსა და გამგეობის წევრებს ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი; უკეთუ წარდგენილი კანდიდატები არ იქნენ დამტკიცებულნი, განათლების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დანიშნოს თავისი კანდიდატები საბჭოს წევრთა შედგენილობიდან.

31. რექტორი პირადი პასუხისმგებელია სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე, უკეთუ გამგეობის უმრავლესობა არ დეთანხმება რექტორის განკარგულებას, გამგეობას უფლება აქვს განასაჩიროს იგი განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, ხოლო რექტორის დადგენილების სისრულეში მოყვანა არ უნდა შეაჩეროს.

32. ერთი პროორექტორთაგანი განაგებს სამეცნიერო-სასწავლო ნაწილს, ხოლო მეორე-სტუდენტების საქმეს და სამეურნეო ადმინისტრატიულ ნაწილს.

33. გამგეობა:

ა) ამტკიცებს ფაკულტეტების საბჭოსა და პრეზიდიუმების ყველა დადგენილებას და უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს იგინი.

ბ) დანიშნავს და დაითხოვს უმაღლესი სასწავლებელის ადმინისტრაციის ყველა მოსამსახურეს, ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის არსებული კანონები.

შენიშვნა: ძირითადი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის გამგეებს დანიშნავს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეადგენს უმაღლესი სასწავლებლის ყოველწლიურ აღრიცხვას და, უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, გაუგზავნის განათლების სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

დ) აქვს ინიციატივის უფლება ყველა სამეცნიერო-სასწავლო საქმისათვის.

ე) უმაღლესი სასწავლებლის სახელით აწარმოებს ყოველგვარ მიწერ-მოწერას, როგორც განათლების სახალხო კომისარიატთან, ისე სხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან.

ვ) სისრულეში მოჰყავს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატის და მის კანონიერ რწმუნებულ ორგანოების ყოველი დადგენილება.

34. უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას შეუძლიან, მისი კომპეტენციის ყოველი საკითხის დეტალურად განხილვისათვის შეჰქმნას მუდმივად მომქმედი კომისია, ან გამართოს დროებითი თათბირი.

35. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების დებულების განხორციელება დაევალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარიატს.

36. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12. ტფილისი—სასახლე.

დებულება.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის შესახებ.

1. ბეჭდითი ნაწარმოების ყოველგვარი ცენზურის გაერთიანების ნიშნით განათლების სახალხო კომისარიატთან არსდება,—განათლების სახალხო კომისარის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ქვეშ,—ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობა და მისი ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებებთან.

2. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობას და მის ადგილობრივ ორგანოებს დაეკისრებათ:

ა) წინასწარი განხილვა ყველა გამოსაქვეყნებლად და გასავრცელებლად დანიშნული ნაწარმოებისა, როგორც ხელთნაწერისა, ისე დაბეჭდილისა, პერიოდული და არაპერიოდული გამოცემისა, სურათებისა, ნახატებისა, რუქების და სხვ.

ბ) ცალკე ნაწარმოებისა, აგრეთვე პერიოდული და არაპერიოდული პეჭდითი ორგანოს გამოცემის ნებართვის მიცემა.

გ) გასაყიდათ და გასავრცელებლად აკრძალულ ნაწარმოებთა სიების შედგენა.

დ) ბეჭდითი საქმის შესახებ ყველა ბეჭდითი ორგანოებისათვის, გამომცემლობისათვის, სტამბებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის და წიგნის მაღაზიებისათვის სავალდებულო წესების, განკარგულებების და ინსტრუქციების გამოცემა.

3. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობა და მისი ადგილობრივი ორგანოები აკრძალავენ იმ ნაწარმოების გამოცემას და გავრცელებას:

ა) რომელიც შეიცავს აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ;

ბ) რომელიც ააშკარავებს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოებას;

გ) რომელიც ტყუილი ცნობების გავრცელებით აღელვებს საზოგადოებრივ აზრს.

დ) რომელიც აღვივებს შოვინისტურსა და რელიგიურ ფანატიზმს;

ვ) რომელსაც პორნოგრაფიული ხასიათი აქვს.

4. რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და სამაზრო კომიტეტების გამოცემანი და საერთოდ პარტიული კომუნისტური ლიტერატურა, საქართველოს ს. ს. ს. რ. აგრეთვე სახელმწიფო გამომცემლობის და პოლიტიკური განათლების მთავარი მართველობის გამოცემანი თავისუფალია ცენზურისაგან; ამ გამოცემათა მიმართ ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობას და მის ორგანოებს ეკისრება ღონისძიების მიღება სამხედრო ცენზურის ინტერესების უზრუნველსაყოფად. უწყებათა სპეციალური გამოცემანი განთავისუფლდება ცენზურისაგან ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის და სათანადო სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

5. რესპუბლიკაში გამოცემულ ყველა ბეჭდითი ნაწარმოებს, გარდა მეოთხე მუხლში აღნიშნულისა, უნდა ჰქონდეს ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის და მისი ადგილობრივი ორგანოების ვიზა.

6. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარი მართველობის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ჰნიშნავს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია, და მისი ორი თანაშეწე, რომელთაც ჰნიშნავს იგივე კოლეგია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატთან და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით და, რომელნიც ექვემდებარებიან, როგორც გამგეს, ისე, კუთვნილებისამებრ, სათანადო ორგანოს.

7. ქალ. ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში მოეწყობა ლიტერატურისა და გამომცემლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის მთავარი მართველობის განყოფილებანი, ხოლო სხვა სამაზრო ქალაქებში დაინიშნებიან, საჭიროებისადა მიხედვით ცენზორნი. განყოფილებათა შედგენილობას და იმ სამაზრო ქალაქების განაწერს, სადაც ცენზორნი უნდა იმყოფებოდნენ, განსაზღვრავს განათლების სახალხო კომისარიატი—სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატსა და საქართველოს საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით. ცენზორებს დანიშნავს მთავარი მართველობა.

8. იმისდამიუხედავად, თუნდაც ამა თუ იმ ადგილას გამოცხადებული არ იყოს სამხედრო მდგომარეობა,—ცენზურის ორგანოები უწყებული ადგილისა,—სამხედრო აუცილებლობის მოსაზრებით და სამხედრო—საზღვაო სახალხო კომისარიატისა, ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობასთან შეთანხმების წესით,—გადადიან სამხედრო უწყების ქვემდებარეობაში, ან ამ უკანასკნელს ნება ეძლევა გაჰგზავნოს იმ ადგილას სპეციალური ცენზორი.

9. სანახაობებისა და თეატრალური წარმოდგენების ზედამხედველობა ტფილისში ეკისრება მთავარ მართველობას, ქალ ქუთაისსა, ბათუმსა და სუხუმში—მთავარი მართველობის განყოფილებათ,—ხოლო სხვა ადგილებში—მისივე ორგანოებს.

შენიშვნა: იმ ადგილას, სადაც ცენზორი არ იქნება, მის ფუნქციებს შეასრულებს მახლობელი ცენზორი.

10. საჩივარი ცენზორის დადგენილების გამო შეტანილ უნდა იქნეს მთავარ მმართველობაში ორი კვირის ვადაზე დაინტერესებული პირისათვის გამოცხადების დღიდან.

11. ბეჭდითი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 230 და 231 მუხ. თანახმად.

12. საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებს დაეკისრებათ ბრძოლა მთავარი მმართველობის მიერ ნებადაურთველ ნაწარმოებთა გავრცელების წინააღმდეგ; აგრეთვე—შემდეგი ზედამხედველობა სანახაობებისა, სტამბებისა, საბაჟო და სანაპირო პუნქტებისათვის; აგრეთვე—ბრძოლა არა-ლეგალური გამოცემებისა და მათი გავრცელების წინააღმდეგ; ბრძოლა—ნებადაურთველი ლიტერატურის საზღვარგარეთიდან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასავრცელებლად შემოტანის წინააღმდეგ, მეთვალყურეობა რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის ყიდვა-გაყიდვისათვის და მთავარი მართველობისა და მისი ორგანოების მიერ ნებადაურთველი წიგნების ჩამორთმევა მე 2 მუხ. გ) პუნქტში აღნიშნული სიის თანახმად.

შენიშვნა: მთავარი მართველობის მიერ გამოცემული სიებით სისწორითა და გადუხვევად ხელმძღვანელობა სავალდებულოა საგანგებო კომისიის ორგანოებისათვის, ცალკე ნაწარმოების გამო, რომელიც შეტანილი არ იქნება აღნიშნულ სიებში, საგანგებო კომისიის ორგანოები, ყოველ ცალკე შემთხვევაში, მიმართვენ მთავარ მმართველობას მათი ნებართვის ან აკრძალვის შესახებ.

13. სტამბისა და ლიტოგრაფიის გამგე—საასამართლოს წესისამებრ პასუხისმგებლობით—მოვალეა ურყევად ადევნოს თვალყური, რათა სტამბაში და ლიტოგრაფიაში დასაბეჭდ ნაწარმოებს, გარდა მე 4 მუხლში აღნიშნულისა ჰქონდეს მთავარი მართველობის და მისი ორგანოების სანებართვო ვიზა.

14. სტამბისა და ლიტოგრაფიის პატრონი და გამგე მოვალეა წარადგინოს ცენზურის ორგანოებში ყოველგვარი დაბეჭდილი ნაწარმოების ხუთ-ხუთი ცალი დაუყოვნებლივ დაბეჭდისათანავე.

15. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მართველობის შტატი დამტკიცებულ იქნეს 7 პირის შედგენილობით,

16. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც, საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

განათლების სახალხო კომისარი
დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12.
ტფილისი სასახლე.

Народн. Комиссариат Внутренних Дел Грузинской ССР. Центральная Ревизионная Группа. Совет. Соц. Республ. Грузии. Совет. Расп. Грузии.

ᲪᲘრᲙᲣᲚᲘᲐრᲘ.

სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაზე დატოვებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებათ და წარმოებათ.

სოციალურ დაზღვევისათვის ადგილობრ. დამზღვევ კასებში სპეციალურ ანარიცხების გადახდის წესების შესახებ.

1923 წ. 1 თებერვლიდან სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე დატოვებული ყველა ცენტრალური (სახ. კომის.) დაწესებულებანი და წარმოებანი ვალდებული არიან ადგილობრივ დაწესებულებათა (სამაზრო განყ. და სხვა ორგანოთ) სამუშაო ხელფასის განაწილების დროს, გაანაწილონ აგრეთვე სოციალური დაზღვევისათვის სათანადო თანხაც, რომელიც უნდა შეტანილ ი ნეს მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა მიერ, ადგილობრივ დამზღვევ კასაში.

ამასთანავე გეუწყებათ, რომ დამზღვევ კასაში კუთვნილ ანარიცხის შეტანის უკანასკნელ ვადათ ითვლება საანგარიშო თვის თანამომდევნო 7 რიცხვი, რის შემდეგაც, ვადა გასულ დღისათვის ანარიცხს მიეთვლება საურავიც, ამის გამო თქვენ

მიერ, თავის დროზე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები ადგილობრივ ორგანოთათვის საჭირო თანხის დროზედ გადაგზავნისათვის.

იმ ცენტრალურ დაწესებულებათ, რომელთაც 1923 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში არ შეუტანიათ სოციალურ დაზღვევისათვის გასაწევი ხარჯი, დაუყოვნებლივ უნდა გამოითხოვონ დამატებით.

წარმოება—დაწესებულების მიერ ანარიცხის %-ის რაოდენობას, შრომის პირობათა მავნებლობის და საშიშროების ხარისხების მიხედვით, განსაზღვრავს საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 15 იანვრის „დამზღვევ ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ“ საგანგებო დეკრეტი.

საქ. ს. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს
თავმჯდ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ამიერ კავკას. შრომის სახ. კომის. რწმუნებული საქართველოში ალ. იაშვილი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 30.

დეკრეტი

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი.

სახელმწიფო და კომუნალური ქონების, აგრეთვე კოოპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არა-საბეგრავი დაზღვევის შესახებ.

ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის სექტემბრის 16 თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად—ტფილისში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოწყობის შესახებ და იმ მიზნით, რათა კერძო პირთა და კოლექტივების სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო და კომუნალური ქონება, აგრეთვე კოოპერატივების კუთვნილი ქონება უზრუნველყოფილ იქნეს ცეცხლით მიყენებული ზარალისაგან,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა კერძო პირი და კოლექტივი (არტელი, ამხანაგობა, საზოგადოება, კომუნა, კოოპერატივი და სხვ.), ვის სარგებლობასა და განკარგულებაშიაც საიჯარო წესით ან,—იჯარის გარდა,—სხვა საფუძვლით არის სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში, ხოლო კოოპერატივი—ერთი თვის განმავლობაში წარადგინოს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის ფედერაციისათვის დაარსებულ სამმართველოში, ან მახლობელ სარაიონო დამზღვევ სააგენტოში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს მიერ დაწესებული განცხადება ქვემოდ ჩამოთვლილ ქონებათა დაზღვევის შესახებ.

შენიშვნა: დასაზღვევად წარდგენილ უნდა იქნეს: ყველა ის სახელმწიფო და კომუნალური ქონება, რომელიც იჯარით, ან სარგებლობის სხვა სახით არის გაცემული; ხოლო კოოპერატივთა ქონებიდან—შენობა და საწარმოს მოწყობილობა.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულებანი, რომელთაც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გაცემული აქვთ სახელმწიფო და კომუნალური ქონება და საწარმო, მოვალეა წარუდგინოს სამმართველოს ან მახლობელ სარაიონო სააგენტოს ნუსხა ზემოდ დასახელებულ ქონებათა და საწარმოსი, და თანაც აღნიშნოს:

ა) მათი სახელწოდება, შედგენილობა და ადგილმდებარეობა;

ბ) საფუძველი, რომლის ძალითაც გადაეცა კერძო პირებს და კოლექტივებს (იჯარით და სხვა სახით) ხსენებული ქონება და საწარმო, აგრეთვე გადაცემის ვადა.

გ) ასეთი პირების და კოლექტივების სახელი და მისამართი.

3. მომავალში ამ სახელმწიფო და კოლექტიური ქონებისა და საწარმოს იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით გადაცემის დროს კერძო პირებისა და კოლექტივებისათვის, როგორც ის დაწესებულება, ვინც ამ ქონებას კერძო პირსა და კოლექტივს გადასცემს, ისე ის კერძო პირი და კოლექტივი, ვინც ამ ქონებას მიიღებს. მოვალეა ქონებას ან საწარმოს გადაცემის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში შეასრულოს ამა დეკრეტის პირველი და მეორე მუხლის მოთხოვნილება.

4. დაზღვევა იმ ქონებისა, რომლის სახელმწიფო—არა საბეგრავი—დაზღვევაც სავალდებულოა, საწარმოებს მოიჯარადრეთა და გამგეთა ხარჯით იმ შეფასების მიხედვით, რომელსაც დაადგენენ სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის სამმართველოს ორგანოები და თანახმად სატარიფო წესებისა და განაკვეთისა.

შენიშვნა: უკეთუ სახელმწიფო ან კომუნალური დაწესებულება, რომელსაც ხელშეკრულება აქვს დადებული მოიჯარადრესთან ან გამგესთან, ან ეს უკანასკნელნი არ დეთანხმებიან იმ შეფასებას, რომელსაც მოახდენენ სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები, მათ შეუძლიანთ ამის შესახებ შეიტანონ განცხადება ადგილობრივ დამზღვევ სამმართველოში, ხოლო თუ ეს უკანასკნელი უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე, ასეთი განცხადება უნდა გაუგზავნონ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს საბოლოო გადასაწყვეტად, მაგრამ ასეთი განცხადების შეტანა ვერ შეაჩერებს დაზღვევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქონების მფლობელს არ ათნავისუფლებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ყველა კანონიერი მოთხოვნილების შესრულებისაგან და დასაზღვევი პრემიის გადახდისაგან.

5. მოიჯარადრე და სხვა სახის გამგე იმ სახელმწიფო და კომუნალური ქონებისა და საწარმოსი, რომელიც დაზღვეულ უნდა იქნეს სახელმწიფო სავალდებულო არა საბეგრავი დაზღვევის წესით, მოვალეა მიუშვას სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლები ხსენებული სახელმწიფო და კომუნალური ქონების და საწარმოს დასათვალ ერებლად და გაუწიოს მათ სათანადო დახმარება, შეასრულოს და მონაწილეობა მიიღოს დაზღვევისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის და აქტის შედგენაში (აღწერილობისა, შეფასებისა, გეგმისა და სხვ.) და საერთოდ, დაემორჩილოს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევისათვის დადგენილ ყველა წესებს.

6. ამა დეკრეტის მოთხოვნილებათა დაზღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი, ან კერძო პირი, როგორც იჯარით ან სარგებლობის სხვა სახით ამღები სახელმწიფო ან კომუნალური ქონებისა, ისე ამ ქონების გამცემი, აგრეთვე ის პირი და დაწესებულება, რომელიც თავის დროზე არ დააზღვევს ამა დეკრეტის ძალით სავალდებულო არასაბეგრავი სახით დასაზღვევ ქონებას,—მიცემულ იქნება კანონიერ,—დადგენილი წესისამებრ,—პასუხისგებაში, როგორც მთავრობის განკარგულებათა არ აღმსრულებელი. ამის გარდა,—ამ პირთ, იმ შემთხვევაში, უკეთუ ცეცხლისაგან დაზარალდა ხსენებული ქონება, რომელიც მათის მიზეზით არ იყო დაზღვეული, გიდაჰხდებათ,—ურთიერთი პასუხისმგებლობით,—ის ზარალი, რაც სახელმწიფოს ან კომუნალურ მეურნეობას ცეცხლისაგან მოუვა.

7. ყოველი სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას დაზღვევის სამმართველოს წინააღმდეგ,—განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასამართლო დაწესებულების მიერ; ამასთანავე სარჩელი შეტანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის საფედერაციო სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს და მისი ადგილობრივ კონტორებისა და აგენტების სამყოფელი ადგილის მიხედვით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკ. ფედერაც. ფინანს. სახ. კომის.
რწმუნ. საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 13,
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების თაობაზე—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭ. დეკრეტი—1922 წ. დეკემბრის 30 თარიღითა—დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 15.

დეკრეტი

საქარ სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის თაობაზე—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 8-ს გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—1922 წ. დეკემბრის 8-ს თარიღითა—დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 15.

დეკრეტი

საქარ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის უნარის უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფის თაობაზე—ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 30-ს გამოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტის საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნების შესახებ.

ამასთანავე საყოველთაო ცნობისა და აღსრულებისათვის გამოქვეყნდება ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს დეკრეტი—1922 წ. დეკემბრის 30 თარიღითა—შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის უნარის უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში უზრუნველყოფის შესახებ.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. სამჭ.
თავმჯდ. მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სახ. კომის. საბჭ. მდივანი. **ალ. სალარიძე.**

1923 წ. იანვრის 15.

ამიერკავკ. საკავშირო საბჭო

დეკრეტი

ამიერ კავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ. საბჭოსი.

დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

სოციალური დაზღვევის ფონდის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის განსავითარებლად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

დაწესებულ იქნეს ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკებში სოციალური დაზღვევის გადასახადის შემდეგი განაკვეთი;

1. კერძო კოოპერატიულ, საზოგადოებრივ საკონცესიო, საიჯარო წარმოებასა, დაწესებულებასა და მეურნეობასა და აგრეთვე იმ სახელმწიფო წარმოებისა და დაწესებულებისათვის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადასულია სამეურნეო ანგარიშზე, ან და მიწერილია ადგილობრივ სახსარზე:

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებით სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და სავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის 6 პროც., მე 2-ე ხარისხ. — 7 პროც., მე-3-ე ხარისხ.—8 პროც. და მე-4-ე ხარისხ.—9 პროც.

ბ) ინვალიდებისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველყოფად: იმ წარმოებასა და დაწესებულებისათვის რომელიც მიეკუთვნება მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის—7 პროც, მე-2-ე ხარისხის.—8-ით, მე-3-ე ხარისხ.—9 პროც. და მე-4-ე ხარისა.—10 პროც.

გ) უმუშევრობისათვის: წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის დამოუკიდებლად მოსალოდნელ უბედურების საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით ამა თუ იმ ხარისხის მიკუთვნებისა—სამუშაო სასყიდლის $2^1/_2$ პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის: იმ წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობისათვის, რომელიც მოსალოდნელ უბედურების საშიშროებასა და მავნებლობის მიხედვით მიეკუთვნება 1-ლ ხარისხს—სამუშაო სასყიდლის $5^1/_2$ პროც., მე-2-ე ხარისხს—6 პროც., მე-3 ე ხარისხ.—$6^1/_2$ პროც და მე-4 ე ხარისხ.—7 პროც.

2. ადმინისტრატიული და საბჭოთა დაწესებულებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე (სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები ადგილობრივ):

ა) დროებითი უნარის უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფისათვის—$5^1/_2$ პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად—$4^1/_2$ პროც.

გ) უმუშევრობისათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის—2 პროც.

3. იმ წარმოებისათვის, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე:

ა) შრომის უნარის დროებით უქონლობისა, დედობისა და დამატებითი სხვა-გვარ უზრუნველყოფისათვის—$6^1/_2$ პროც.

ბ) ინვალიდობისა და დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევაში მათი ოჯახის წევრთა უზრუნველსაყოფად—$5^1/_2$ პროც.

გ) უმუშევრებითათვის—2 პროც.

დ) სამკურნალო დახმარებისათვის—3 პროც.

4. სოციალური დაზღვევის გადასახადის აღნიშნული განაკვეთი ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1-დან, ხოლო ამ ვადამდე ძალაში რჩება ამიერკავკასიის ცალკე რესპუბლიკებში დაწესებული განაკვეთი.

5. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშავოს გადასახადის აკრეფისათვის სათანადო ინსტრუქცია.

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.
საბჭ. თავმჯდომარის მოვალ. დროებითი
აღმასრულებელი **ვ. ბახუტოვი**

ამიერკავკ- სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.
საბჭ. მდივნის მოადგილე **ორლოვ-მალახოვ.**

1922 წ. დეკემბრის 8.

დ ე კ რ ე ტ ი

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ. საბჭოსი.

დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შესახებ.

შრომის დაქირავებულ პირთა სოციალური დაზღვევის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის აგვისტოს 23-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტის მე-4-ე და მე-5-ე მუხ. შესაცვლელად საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმებულ იქნეს 1923 წლის იანვრის 1-დან ამიერკავკასიის დამზღვევი საბჭო და რესპუბლიკების დამზღვევი საბჭოები.

2. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და მის რწმუნებულთა სამმართველოების დადგენილობიდან გამოყოფილ იქნეს სოციალური დაზღვევის განყოფილებანი.

3. დამზღვევ საბჭოთა მთელი აპარატი, მათი ფუნქცია და სახსარი გადაეცეს სათანადო სოციალური დაზღვევის განყოფილებას.

4. მაზრებში სოციალური დაზღვევის განყოფილებათა ფუნქცია დაეკისრება შრომის სამაზრო განყოფილებას, ხოლ სადაც იგი არ არსებობს, შრომის სახალხო კომისარიატის სარაიონო რწმუნებულს.

5. სოციალური დაზღვევის განყოფილებათა შესანახი ხარჯების გაწევა, როგორც სამეურნეო, ისე საორგანიზაციოსი, სწარმოებს სათადარიგო ფონდიდან იმ ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც დაამტკიცებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი და მისი რწმუნებულები.

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.
საბჭ. მდივანის მოადგ. **ორლოვ-მალახოვი.**

1922 წ. დეკემბრის 30.

შინაგან საქმ. საზ. კომის.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქების და წყლის მილიციის უფროსებს.

ნავთის ნაწარმოების გატანის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი № 3, მუხ. 5-ის თანახმად, რომელიც შეეხება სახელმწიფო მონოპოლიას—ნავთის ნაწარმოებით ვაჭრობას და მისი საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში შემოტანას, საქართველოს სახალხო უმაღლეს სამეურნეო საბჭომ დაადგინა:

პატრონები (სახელმწიფო დაწესებულებანი, საზოგადო ორგანიზაციები და კერძო პირები) ვალდებულნი არიან ნავთის ყველა ნაწარმოები, რომელიც დანიშნულია გასატანად საზღვარ გარეთ საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის ნავთსადგურიდან, შვიდი დღის განმავლობაში, დღიდან გატანის ნებართვის მიღებისა, გაატარონ რეგისტრაციაში გასატანი საქონლის რაოდენობა: თბილისში უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს საწვავ განყოფილებაში, ბათომში აჭარისტანის უ. ს. ს. ს. და მისცენ ხელწერილით პირობა, არ გაყიდონ და არც არავის გადასცენ არავითარი საბუთით გასატანად აღნიშნული ნავთის ნაწარმოები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში: აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ-ოსეთში.

ყველა დაწესებულებას და კერძო პირებს, რომელიც კი არ შეასრულებს ამ მოთხოვნილებას დადგენილ ვადის განმავლობაში, ჩამოერთმევათ ნავთის ნაწარმოები.

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სასტიკი ზომები, რათა ზემოაღნიშნული, უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს სავალდებულო დადგენილება, სისწორით იყოს გატარებული ცხოვრებაში და სახალხო სამეურნეო უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალათა განყოფილების წარმომადგენლებს აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის შემთხვევის წინააღმდეგ ზომების მიღების და მათდამი დაკისრებულ მოვალეობათა ასრულების დროს.

შინ.ს აქმ. სახ. კომისარის მოადგ. **ტალახაძე.**

სამილიც. განყ. უფროსი **გ. ქავთარაძე.**

მისი თანაშემწე **ნადირაძე.**

14 იანვარი, 1923 წ.

ცირკულიარულად.

ყველა მაზრა-ქალაქების მილიციის უფროსებს.

ფოსტისათვის მცველების გაყოფების შესახებ.

როგორც იუწყება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში, ფოსტის უწყება უთმობს ადგილს ეტლში მხოლოდ ერთ მილიციელს, დანარჩენი მცველი კი უნდა მიყვებოდეს ცხენით.

გაცნობებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ამიერიდან გააყოლოთ ფოსტას მცველები ცხენებით.

შინ. საქმ. სახ. კომის. მოადგ. **ტალახაძე.**

სამილიციო განყ. უფროსი **ბ. ქავთარაძე.**

მისი თანაშემწე **ნადირაძე.**

31 იანვარი 1923 წ.

ცირკულიარულად

ყველა მაზრა-ქალ. და წყლის მილიც. უფროსს.

მეცხვარეთათვის იარაღის ჩამორთმევის შეჩერების შესახებ.

თანახმად საქართველოს საგანგებო კომისიის ამა წლის 20 იანვრის № 709 განკარგულებისა, იარაღის ჩამორთმევა იმ მეცხვარეებისაგან, რომლებსაც ეძლევათ ნება იქონიონ თითო შაშხანა თოფი არა ნაკლებ 300 სულ ცხვარზე, სანამდის ისინი შეიძენდნენ მოწმობებს ადგილობრივ პოლიტ-ბიუროსაგან — შეჩერებულია.

გაცნობებთ რა ამას, დამატებით ჩემი 1922 წ. 23 მაისის № 2476/4607 ცირკულიარული განკარგულებისა, წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ შეაჩეროთ იარაღის ჩამორთმევა ასეთ მეცხვარეებისაგან.

შ. ს. ს. კომისარის მოადგ. **ტალახაძე.**

სამილიც. განყ. უფროსი **ქავთარაძე.**

მისი თანაშემწე **ნადირაძე.**

31 იანვარი 1923 წ.

განცხადებანი.

დაკარგა ჯვარის წერის მოწმობა მიღებული 1921 წ. ოქტომბრის 29-ს გიორგი ფირანის ძე კამარიძისა და მარტიროსის ასული კამარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 170 1—1

დაკარგა მოწმობა სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული პირველი ქართული ლეგიონის კანცელარიიდან 1922 წ. დეკემბერში № 264 ნიკოლოზ მიხეილის ძე დავიდოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 183 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1918 წ. სინოდ. კანცელარიიდან № 429 პავლე გრიგოლის მე შაპოჩნიკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 174 1—1

დაკარგა მოწმობა ტფ. მეოთხე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურსის დასრულების შესახებ მიღებული 1915 წ. ამავე სასწ. კანცელარიიდან № 208 იაკობ ანდრიას ძე დენისენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 173 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებულ ცენტრ. სინოდ. კანტ. კანცელარიიდან 1910 წ. ნინო ნიკოლოზის ასულ ციცანბაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 172 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სინოდალური კანტ. კანცელარიიდან 1903 წ. № 4289 იაკობ ანდრიას ძე დენისენკოს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად:

№ 176 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3473 მიღებული ცენტრ. ზაგსის კანცელარიიდან 1922 წ. მიხეილ არსენის ძე კალმახელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 190 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 965 მიღებული 1905 წ. სინოდალურ კანტორიდან მარგარიტა ციციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 189 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 806 მიღებული 1922 წ. სომეხთა კონსისტორიიდან და სარეგისტრაციო ბარათი № 3474 მიღებული მეოთხე რაიონის სამხედრო რწმუნებულისაგან ანტონ გასიდის ძე ბარაკესიოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 188 1—1

დაკარგა მოწმობა № 42 მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ალექსანდრე იდიას ძე ჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (უ. 1—1)

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1911 წ. სინოდალური კანტორიდან მარია კონსტანტინეს ასული გოგიჩაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად № 177 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული ტფილისის სომეხთა კონსისტორიიდან 1907 წ. ავეტის არტ. შახპარუმოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 180 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სომეხთა კონსისტორიიდან 1920 წ. № 3807 ჯონი ზაქარის ძე ხუბლარიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 181 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სინოდალური კანტორიდან 1917 წ. კონსტანტინე იორდანეს ძე მაგრაქვედიის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. № 182 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სომეხთა კონსისტორიიდან 1909 წ. № 3385 სარიბეკ სარქისის ძე ოგანიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 184 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2072 მიღებული 1919 წ. სინოდალური კანტორიდან ანტონ სიდიბისტროს ძე მაცაბერიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 185 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სინოდალური კანტორიდან 1915 წ. ნიკოლოზ ივანეს ძე ზარდიაშვილის სახელზე № 286. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 186 1—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1914 წ. სომეხთა კონსისტორიიდან № 3460 სურენ ამბარცუმის ძე კალტაკიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 187 1—1

დაიკარგა სალექციო წიგნაკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა № 493, სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 1532 და თბილისის ქალაქის აღმასკომის სამმართველოს განყოფილებიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 166, გრიგოლ იოსების ძე ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 191 1—1

ახალციხის 1-ლ უბნის სახალხო სასამართლოსაგან იანვრის 6 1923 წ. № 14.

ახალციხის 1-ლ უბნის სახალხო მოსამართლე ამით აცხადებს, რომ თვისი 20 დეკემბრის 1922 წ. დადგენილებით გარდაცვალებულ ახალციხის მოქ. ალექსანდრე კარაპეტას ძე კუიმჩიბაშევის (იგივე კუიმჩიბაშიანცის) მიერ დატოვებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე მემკვიდრეთ დამტკიცებული არიან: მეუღლე მისი 1) ვართუი მიკირტიჩას ასული კუიმჩიბაშიანცი და მისი შვილები: 2) ასტხიკა, 3) გოარიკა, 4) სოფიო და 5) ალექსანდრე კუიმჩიბაშიანცები თანასწორ ნაწილში.

ახალც. 1 ლ უბნ. სახალხო
მოსამართლე ი. დვინიაშვილი.

მდივანი ბ. აკოფიანცი.

№ 178 1—1

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა მე 28 საქართ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. ზაქარია იდარიონის ძე თხისწერმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის თხისწერი გიგაურზედ შეცვლის შესახებ.

საქმის მწარმოებელი ფანიაშვილი.

№ 181 1—1

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა მე 28 საქართ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქალ. ტფილისის აღმასკომის მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. პეტრე ბანგრატის ძე ავდოშკინმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის ავდოშკინი ანჩარსკიზედ შეცვლის შესახებ.

საქმის მწარმოებელი ფანიაშვილი.

№ 179 1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მე-48-ე №-ში მოთავსებული მასალებისა:

ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი.

1) **დეკრეტი** ცენტრ. აღმ. კომ. და სახ. კომ. საბჭოსი—სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

სახ. კომისართა საბჭო.

2) **დადგენილება** № 69—საქართ. წითელ ჯვრის საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ.

3) **დადგენილება** № 70—სასკოლო გადასახად. თაობაზე გამოცემული დეკრეტ. შეცვლის შესახებ.

4) **დადგენილება** № 72—სათამაშო ქაღალდის (კარტის) გამოცემის შესახებ.

5) **დადგენილება** № 73—საგანგებო საბინაო სა: მეულის მოწყობის შესახებ.

6) **დებულება**—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ.

7) **დებულება** საქ. სოც. საბჭ. რესპ. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმის მთავარ მმართველობის შესახებ.

8) **ცირკულიარი**—სოციალურ დაზღვევის ადგილობრივ დამზღვევ კასებში საპროცენტო ანარიცხების გადახდის წესების შესახებ.

9) **დეკრეტი**—სახელმწ. და კომუნალური ქონების და აგრედვე კოოპერატივთა ორგანიზაციების ქონების ცეცხლისაგან მიყენებული ზარალისაგან სავალდებულო არასაბეგრავი დაზღვევის შესახებ.

10) **დეკრეტი**—დამზღვევ საბჭოთა გაუქმების თაობაზე ა/კ. საკ. საბ. მიერ გამოცემული დეკრეტის საყოველთაო ცნობის და აღსრულების შესახებ.

11) **დეკრეტი**—დაზღვევის ტარიფის ხარასხთა განაკვეთის შესახებ.

ა/კ. საკავშირო საბჭო.

12) **დეკრეტი**—დაზღვევის ტარიფის ხარისხთა განაკვეთის შესახებ.

13) **დეკრეტი**—შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა შრომის უნარის უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში სოც. უზრუნველყოფის შესახებ.

14) **დეკრეტი**—დამზღვევ საბჭოთა გაუქმების შეს.

ცირკულიარები: 1 ნავთის ნაწარმოების გატანის წესის შესახებ, 2) ფოსტისათვის მცველების გაყოლების წესის შესახებ, 3) მეცხვარეთათვის იარაღის ჩამორთმევის შეჩერების შესახებ.

ნ. დ. ს. ც. ტფილისი. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფკომბინატი. მე-3 სტამბა—ტირაჟი 2000